ახალი ხარაგაული

294 (21) 27 ივლისი, 2015 წ

იმერეთის გუბერნატორმა ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა

22 ივლისს ხარაგაულს იმერეთის მხარის რწმუნებული, გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე და ვიცე–გუბერნატორი გიორგი ჭილვარია სტუმრობდნენ. გუბერნატორმა თანმხლებ პირებთან და ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულა. პირველ ეტაპზე სტუმრებმა ბაზალეთი-უბისის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს და ადგილობრივ მოსახლოებას შეხვდნენ. ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებლები სოფელში გზის მოასფალტებით გახარებულები არიან და ხელისუფლების მიმართ კმაყოფილებას გამოთქვამენ. ისინი მადლობას უხდიან მაჟორიტარ დეპუტატს, ვარლამ ჭიპაშვილს, იმ აქტიურობისთვის, რის შედეგადაც ბაზალეთში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. შეგახსენებთ, რომ ბაზალეთი-უბისის დამაკავშირებელი გზის სარემონტო სამუშაოები რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 600 000 ლარს შეადგენს.

ამავე დღეს იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ცენტრალური ბიბლიოთეკის ახალი შენობის სარემონტო სამუშაოები, ამბულატორიის მიმდებარე ტერიტორიაზე წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები და სოფელ ხიდარში ახლადაშენებული საბავშვო ბაღიც მოინახულეს. წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები 173 890 ლარით რეგიონალური განვითარების ფონდიდან ფინანსდება. რაც შეეხება ხიდრის საბავშვო ბაღს, პროექტის განსახორციელებლად ცენტრალური ბიუჯეტიდან 105 777 ლარი დაიხარჯა.

ხარაგაულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები იმერეთის გუბერნატომა გივი ჭიჭინაძემ დადებითად შეაფასა და აღნიშნა: ,,იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია აგრძელებს იმერეთში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოების მონახულებას. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სერიოზული პროექტების განხორციელება მიმდინარეობს. შესრულებული სამუშაოებით კმაყოფილი ვარ. სასიამოვნოა, როდესაც ისეთ სოფლებში, სადაც ყოველთვის იყო უგზოობის პრობლემა, ახალი გზა იგება. ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი სწორედ ინფარსტრუქტურული პროექტებია. ვხედავ, რომ გახარებულია ხალხი და ჩვენთვის,ეს ორმაგად სასიამოვნოა“.

კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი:

„იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები მოინახულეს. დაათვალიერეს რამდენად ხარისხიანად არის შესრულებული სამუშაოები. ვფიქრობ, ამ მიმართულებით ყველაფერი წესრიგშია. მუნიციპალიტეტი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მონიტორინგი გაუწიოს მიმდინარე სამუშაოებს. თითოეული პროექტი მოქალაქეების საჭიროებიდან გამომდინარე ხორციელდება. როცა შეხვედრებზე მოსახლეობის კმაყოფილ სახეებს ვხვდებით, ეს ჩვენთვის ყველაფერია. ეს ნიშნავს იმას, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ.“

ვარლამ ჭიპაშვილი ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი: „მადლობა იმერეთის გუბერნატორს, ბატონ გივი ჭიჭინაძეს, იმისათვის, რომ ბაზალეთში გვესტუმრა, დაათვალიერა მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები და მოსახლეობის პრობლემებს ადგილზე გაეცნო. ადგილობრივების მხრიდან ორი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა. კერძოდ, ისინი მოითხოვენ სამასალე ხე-ტყეზე ხელმისაწვდომობის ნებართვის გაცემას. მიაჩნით, რომ ელემენტარული სოციალური ჭრები მაინც უნდა არსებობდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს მუშაობა და პრობლემა, ვფიქრობ, მოგვარდება. ასევე პრობლემებია სოციალური დახმარებების დანიშვნასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებითაც ახალი მეთოდოლოგია შემუშავდა. იმედია, ქულების დათვლის ახალი მექანიზმი გაამართლებს და უსამართლობის განცდა, რომელიც მოსახლეობას აქვს, აღმოიფხვრება. ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება სწორედ იმისთვის მუშაობს, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს სამართლიანობის განცდა.“

ეკა შავიძე

„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ წარმომადგენლებმა ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში შეხვედრა გამართეს

17 ივლისს ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ წარმომადგენლებმა ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში შეხვედრა გამართეს. შეხვედრას სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი მიხეილ გელაშვილი, გამგებლის წარმომადგენელი ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში ზურაბ შუბითიძე, ეკონომიკის ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, შალვა ლურსმანაშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი და კოორდინაციის განყოფილების უფროსი, გია ჭიპაშვილი ესწრებოდნენ. შეხვედრაზე იმ პრობლემებზე ისაუბრეს, რომლის მოგვარებაც ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში უმოკლეს ვადებში იგეგმება.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

სოფელ გაზალეთში მცირე გამავლობის ხიდი აშენდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, ბაზალეთის მაჟორიტარ დეპუტატ ვარლამ ჭიპაშვილთან და სოფლის მცხოვრებლებთან ერთად სოფელ ბაზალეთში მცირე გამავლობის ხიდი გახსნეს.

ხიდის გახსნას საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, შალვა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დავით კიკნაძე და გამგებლის წარმომადგენელი ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, თენგიზ ჭიპაშვილი ესწრებოდნენ. აღნიშნული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მასზე 10 000 ლარი დაიხარჯა. ხიდი ერთმანეთს დევდარიანებისა და ლომსაძეების უბანს დააკავშირებს.

მოსახლეობამ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ სოფლისათვის ხიდის გაკეთება ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ისინი მუნიციპალიტეტის გამგებელს და სოფლის მაჟორიტარ დეპუტატს მადლობას უხდიან.

როგორც ჩვენთან საუბარში ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი, ვარლამ ჭიპაშვილი განმარტავს, დევდარიანებისა და ლომსაძეების უბნებს წლების განმავლობაში ჰქონდათ ხიდის პრობლემა, რის გამოც შემოვლითი გზით უწევდათ გადაადგილება.

გაგრძელება ▶ 2 გვ.

„მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ წარმომადგენლებმა ნადაბურის ადმინისტრაციულ ერთეულში შეხვედრა გამართეს

▶1 გვ.

,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ დირექტორი, ეკა შავიძე ადგილობრივებს მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ესაუბრა და მოსახლეობას ის სოციალური დახმარების პაკეტები გააცნო, რომელიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებით ხორციელდება. ეკა შავიძემ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ცხელი ხაზის სერვისთან დაკავშირებით ისაუბრა და განმარტება გააკეთა - ,,ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის უფრო მეტი კომუნიკაციისთვის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ცხელი ხაზის სერვისი ამოქმედდა. რითაც მოსახლეობას საშუალება მიეცა მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მნიშვნელოვან საკითხებზე.“

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი ნადაბურში შეკრებილ მოსახლეობას, ხარაგაულის ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ მომავალში განსახორციელებელ პროექტებზე ვრცლად ესაუბრა. „ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ თითოეულმა თქვენგანმა უკეთეს პირობებში იცხოვროს. თუ ამ 2-3 წლის განმავლობაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეძლო და ყოფითი პრობლემები მინიმუმამდე დაიყვანა, იმედი მაქვს, რომ მომავალი წლის ხარაგაულის ბიუჯეტი კიდევ უფრო მზარდი იქნება, რაც ასევე დადებითად აისახება ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე“.

შეხვედრაზე მოსახლეობამ იმ პრობლემებზე ისაუბრა, რაც მათ წინაშე ყველაზე მწვავედ დგას. ძირითად პრობლემად ხე-ტყეზე მიუწვდომლობა და სამედიცინო ამბულატორიის არქონა დასახელდა. ადგილობრივებმა უკმაყოფილება გამოთქვეს სოციალური დახმარების დანიშვნასთან დაკავშირებითაც. დამატებითი თანხები მოითხოვეს ასევე სოფელში სპორტული მოედნის დასასრულებლად და ხიდ-ბოგირის შესაკეთებლად.

როგორც ნადაბურის მაჟორიტარმა დეპუტატმა, მიხეილ გელაშვილმა განმარტა, ნადაბურში სამედიცინო მომსახურების კუთხით პრობლემა უახლოეს მომავალში გადაიჭრება. ადმინისტრაციული შენობაში მოეწყობა ორი ოთახი, სადაც მოსახლეობას სამედიცინო მომსახურების მიღება შეეძლება. მიხეილ გელაშვილის ინფორმაციით, ხარჯთაღრიცხა უკვე გაკეთებულია და სარემონტო სამუშაოები მალევე დაიწყება.

,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“ მსგავსი ტიპის შეხვედრებს სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც გეგმავს.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის ახლადაშენებული ბიბლიოთეკის ბაზაზე საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრი შეიქმნება

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის ერთობლივი ძალისხმევით ხარაგაულის ახლადაშენებული ბიბლიოთეკის ბაზაზე ინოვაციების ცენტრი შეიქმნება. ამის შესახებ პრეზენტაცია, 21 ივლისს ხარაგაულის კინოთეატრში სააგენტოს წარმომადგენლებმა გამართეს. შეხვედრას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ა(ა)იპ-ების თანამშრომლები, სკოლის პედაგოგები, მოსწავლეები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“ ინოვაციური ეკოსისტემის ჩამოყალიბების, ცოდნისა და ინოვაციების კომერციალიზაციის ხელშეწყობის, ასევე მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის განვითარების მიზნით 2014 წლის აპრილში შეიქმნა.

შეხვედრა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა გახსნა და დამსწრე საზოგადოებას იმ ახალი პროექტის შესახებ ამცნო, რისი განხორციელებაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში იგეგმება. ბატონმა კობამ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს წარმომადგენელებს მადლობა გადაუხდა და აღნიშნა, რომ ,,ჩვენ ყოველთვის განსაკუთრებულად ვაფასებთ იმ ადამიანების ღვაწლს, რომლებიც სხვადასხვა პროექტებითა და იდეებით ხარაგაულში შემოდიან“.

,,ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს მიზანია ცოდნასა და ინოვაციებზე დამყარებული ეკონომიკის შექმნა„- განმარტა შეხვედრაზე უნარებისა და კონკურენტუნარიანობის განვითარების სამსახურის უფროსმა, გიორგი კინწურაშვილმა და აქვე დასძინა, რომ სააგენტო პრიორიტეტული მიმართულებებით სხვადასხვა სახის ტრენინგებსა და სწავლებებს აწარმოებს. მისივე თქმით, ქვეყანაში ინოვაციური ინფრასტრუქტურის განვითარება მოტივირებულ, შედეგზე ორიენტირებულ ადამიანებს მისცემს თანამედროვე ტექნიკასთან და ტექნოლოგიებთან წვდომის საშუალებას.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს სტრატეგიული განვითარების მთავარი სპეციალისტის ანა ბერიშვილის ინფორმაციით, ხარაგაულის ბიბლიოთეკაში შექმნილი საზოგადოებრივი ცენტრის დანიშნულება იქნება თანამედროვე ტექნოლოგიებისადმი წვდომაზე ხელშეწყობა, დაინტერესებული პირებისთვის კომპიუტერული უნარ-ჩვევების განვითარება, დისტანციურ სწავლებასთან და დასაქმებასთან წვდომა, ტრენინგები კონკურენტუნარიანობის განვითარებისა და დასაქმებისათვის.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრი ხარაგაულში ფუნქციონირებას შემოდგომიდან დაიწყებს. ცენტრს გადმოეცემა ახალი დანადგარები. გადამზადდება კადრები, ტრენერები.

საზოგადოებრივი ინოვაციების ცენტრის ბაზაზე ახალი დანადგარების გაჩენა ხარაგაულში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას შეუწყობს ხელს. მთელი საქართველოს მაშტაბით ბიბლიოთეკების ბაზაზე 500 საზოგადოებრივი ცენტრის გახსნა იგეგმება. მიმდინარე წელს კი სამი საპილოტე პროექტი განხორციელდება. სწორედ ამ სამეულში მოხვდა ხარაგაულის ახლადაშენებული ბიბლიოთეკა.

ეკა შავიძე

სოფელ გაზალეთში მეჩიჩე გამავლობის ხიდი აშენდა

▶1 გვ.

,,წელიწადის ისეთ დროს, როცა უხვი ნალექი მოდიოდა, მდგომარეობა უფრო მეტად უარესდებოდა. ამის მიუხედავად, პროექტის განხორციელებას რიგითი ადამიანები ენინააღმდეგებოდნენ და ხიდის გაკეთების აუცილებლობას ვერ ხედავდნენ. ჩემი აქტიური მუშაობით და მუნიციპალიტეტის გამგებლის, კობა ლურსმანაშვილის დახმრებით ეს პრობლემა გადაიჭრა, რისთვისაც მადლობა მინდა გადავუხადო მას“,- განაცხადა ვარლამ ჭიპაშვილმა.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა ლურსმანაშვილი: ,,დევდარიანებისა და ლომსაძეების უბანს ხიდის არქონის გამო, შორი გზის გავლა უწევდათ ხარაგაულის ცენტრში მოსახვედრად. მისასალმებელია, რომ ეს პრობლემა მოგვარდა და ადგილობრივებიც კმაყოფილი დარჩნენ შესრულებული სამუშაოებით. ვფიქრობ, პრობლემები, რომლებიც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მოსახლოებას აწუხებს, ეტაპობრივად გვარდება და დაპირებები, რომლებიც მათ ხელისუფლების წარმომადგენლებმა მისცეს ,ყველა შესრულდება“.

ამავე დღეს, ბაზალეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვარლამ ჭიპაშვილმა, ღვინის ფესტივალში გამარჯვებულთა ვინაობა დაასახელა, რომელიც მისი თაოსნობით ცოტა ხნის წინათ ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში გაიმართა. გამარჯვებულს სიგელები და ფასიანი საჩუქრები მაჟორიტარმა დეპუტატმა და მუნიციპალიტეტის გამგებელმა გადასცეს. ღვინის ფესტივალში გამარჯვება ვლადიმერ კაპანაძეს ხვდა წილად, მეორე ადგილზე ბესო შერგელაშვილი გავიდა, ხოლო მესამე ადგილი გურამ გოგიამ დაიმსახურა.

ეკა შავიძე

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ბიუჯეტის მეორე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლის შესრულების შესახებ იმსჯელეს



23 ივლისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის (თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი) სხდომა გაიმართა. კომისიის წევრებმა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ იმსჯელეს. სხდომაზე საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ვარლამ ჭიპაშვილმა განაცხადა: „გასული ექვსი თვის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთდა. შესაბამისად ბიუჯეტის ხარჯვასაც დადებითად ვაფასებ და მივიჩნევ, რომ არსებული რესურსის ფარგლებში ეფექტურად დაიხარჯა თანხები. რა თქმა უნდა, თუ ბიუჯეტის შემოსავლები გაიზრდება და თანხებს გონივრულად დავხარჯავთ შედეგი უკეთესი იქნება. ძალიან კარგია, რომ გარკვეული სისუსტე, რაც

გაგრძელება ▶ 5 გვ.

მედია-პროექტ „ეტალონის“ წამყვანმა, გოჩა ტყეშელაშვილმა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ყობა ლურსმანაშვილმა წარმატებული ბავშვები დააჯილდოვეს

სულ რამდენიმე ხნის წინ, ხარაგაულში სტუმრად სოციალურ – საგანმანათლებლო მედია – პროექტ „ეტალონის“ ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი იმყოფებოდა. ბატონი გოჩა გამგებელ კობა ლურსმანაშვილთან ერთად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლაში გადაცემა „ეტალონში“ გამარჯვებულ ბავშვებს, სკოლის მოსწავლეებს და ახალგაზრდული საკრებულოს წევრებს შეხვდა. შეხვედრას ხარაგაულის ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მედია-პროექტ „ეტალონის“ წამყვანმა გადაცემა „ეტალონის“ გამარჯვებული ბავშვები დააჯილდოვა.

ამავე დღეს ხარაგაულის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო გიმნაზიის წარმატებულ მოსწავლეებს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობისგან ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

შეხვედრის დასასრულს მედია–პროექტ „ეტალონის“ ავტორსა და წამყვანს, გოჩა ტყეშელაშვილს, მუნიციპალიტეტის გამგეობისგან ხარაგაულის წარმოჩენასა და შემეცნებაზე ორიენტირებული მხარდაჭერისთვის მადლობის სიგელი გადაეცა. ასევე მადლობის სიგელი გადაეცა ვებ გვერდის etanews.ge -ს მთავარ მენეჯერს, მანანა ღოღობერიძეს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საინფორმაციო მხარდაჭერისთვის.

აღსანიშნავია, ის ფაქტი რომ წელს პირველად, ზვარის კარვების ბანაკში, გადაცემა „ეტალონში“ გამარჯვებული ბავშვები დაისვენებენ. ადგილი, სადაც კარვების ბანაკი მოეწყობა, მედია-პროექტ „ეტალონის“ ავტორმა, გოჩა ტყეშელაშვილმა, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელთან, კობა ლურსმანაშვილთან ერთად მოინახულა. 4 დღის განმავლობაში, ზვარეში, კარვების ბანაკში, საქართველოს 36 მუნიციპალიტეტიდან ჩამოსული ახალგაზრდები დაუვიწყარ დღეებს გაატარებენ. ბანაკის აღდგენა ადგილობრივი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტია. პროექტი უკვე მზადაა და იგი სამთავრობო კომისიის დასკვნას ელოდება. ზვარის ახალგაზრდული ბანაკის რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობისთვის, ნახევარ მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯება.

გოჩა ტყეშელაშვილი – მედია–პროექტ „ეტალონის“ ავტორი და წამყვანი:

„შთაბეჭდილებები არაჩვეულებრივია. ეს იყო საქმიანი შეხვედრა. მოხარული ვარ, რომ მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, შეასრულა თავისი დანაპირები და ეტალონში წარმატებულ ბავშვებს გადასცა ის საჩუქრები, რომლებიც მათ სნავლაში გამოადგებათ. გიმნაზიის მოსწავლეები გარკვეული საკანონმდებლო ხარვეზის გამო ვერ იღებენ იმ საჩუქარს რასაც იმსახურებენ. ეს დანაკლისი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ აუნაზღაურა. მიმაჩნია, რომ ისტორიას ქმნიან პიროვნებები, ხოლო საზოგადოებას ავითარებს სისტემები. ვხედავ, რომ ხარგაულში პიროვნებები იბადებიან და ასევე იქმნება სისტემები, რომლებიც არა მარტო ხარაგაულის საზოგადოებას, არამედ მთელ საქართველოს განავითარებს. ჩვენ გვინდა, რომ „ეტალონი“ ჩავატაროთ ხარაგაულში. საკმაოდ რთულია ამის გაკეთება, ტექნიკური პარამეტრებითა და სხვადასხვა თვალსაზრისიდან გამომდინარე, მაგრამ ველაპარაკე ბატონ კობას და მგონი ახალგაზრდებიც ეთანხმებიან. კარგი იქნება „ეტალონი“ ხარაგაულში ჩატარდეს.“

ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ექვსი თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ექვსი თვის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 4156,8 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 4390,8 ათასი ლარის შემოსულობები, რაც გასული 2014 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლებს 1058,7 ათასი ლარით აღემატება (2014 წლის ექვს თვეში მიღებულია 3332,1 ათასი ლარის შემოსულობები) 2015 წლის შემოსულობების ექვსი თვის გეგმა შესრულებულია 105,6 პროცენტით .

მუნიციპალიტეტმა ექვსი თვის საკუთარი შემოსავლების გეგმა 121,7 პროცენტით შეასრულა (გეგმა 577,5 ათასი ლარი; ფაქტი 702,8 ათასი ლარი) გეგმის ზევით მობილიზებულია 125,3 ათასი ლარი, მათ შორის

- გადასახადებიდან მუნიციპალიტეტს გეგმიური 38,9 ათასი ლარის ნაცვლად მიღებული აქვს 361,1 ათასი ლარი, 928.3 % და გეგმის ზევით მობილიზებულია 322,2 ათასი ლარი, აქედან საწარმოთა ქონების გადასახადი 58,6 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი 0,1 ათასი ლარი და არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი 302,4 ათასი ლარი.

- სხვა შემოსავლების გეგმა ექვს თვეში განისაზღვრა 538,6 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 334,8 ათასი ლარის სხვა შემოსავლები. აქედან ბანკიდან მისაღები პროცენტები დაგეგმილი 30,0 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 28,4 ათასი ლარი, აღნიშნულ სახეში გეგმის შეუსრულებლობა და ასევე წინა წლის მაჩვენებლებთან კლება ობიექტური მიზეზითაა განპირობებული და მთლიანად გამოწვეულია სახაზინო მომსახურებაზე გადასვლასთან დაკავშირებით. მიწის იჯარიდან მიღებულ შემოსავალი დაგეგმილი 9,6 ათასი ლარიდან მიღებულია 13,5 ათასი ლარი, რაც შეეხება ჯარიმებიდან მიღებულ შემოსავლებს, არ შესრულდა ექვსი თვის გეგმა და გასულ წელთან შედარებთ აღნიშნულ სახეში მიღებულმა შემოსავლებმა საგრძნობლდ იკლო, დაგეგმილი 480,0 ათასი ლარიდან მიღებულია მხოლოდ 283,8 ათასი ლარი და გეგმა შესრულდა 59,1 პროცენტით.

დაგეგმილზე მეტი თანხებია მობილიზებული სანებართვო და დასუფთავების მოსაკრებლებიდან თუმცა არ შესრულდა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელების გეგმა .

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 6,9 ათასი ლარი, აღნიშნულ სახეში შემოსავალი დაგეგმილი არ გვქონდა.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა ტრანსფერმა ექვს თვეში ფაქტიურად შეადგინა 2945,2 ათასი ლარი, დაგეგმილი 3579,3 ათასი ლარის ნაცვლად, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი შეადგენს 2152,8 ათას ლარს, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიღებულია 69,0 ათასი ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს 723,4 ათასი ლარი, მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 677,0 ათასი ლარი და სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში 46,4 ათასი ლარი;

2015 წლის ექვს თვეში გასულ 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერების ოდენობა გაზრდილია 329,2 ათასი ლარით, გასულ წლის ექვს თვეში მიღებული იყო 2616,0 ათასი ლარი , თუმცა როგორც ზევით აღვნიშნეთ მიმდინარე წლის ექვს თვეში დაგეგმილზე ნაკლები გვაქვს მიღებული რადგან ფინანსთა სამინისტრო მუნიციპალიტეტისათვის კუთვნილი წლიური ტრანსფერებიდან გათანაბრებით და მიზნობრივ ტრანსფერებს ყოველთვიურად სტაბილურად გვირიცხვს მუნიციპალიტეტისათვის კუთვნილი თანხის 1/12 –ის ოდენობით და მუნიციპალიტეტს აღებული ვალდებულებების შესრულება უწევს აღნიშნული ტრანსფრების 1/12-ისა და საკუთარი სახსრებით მიღებული შემოსავლების და გადასახადების ხარჯზე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ექვსი თვის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში განისაზღვრა 4522,1 ათასი ლარი, ფაქტიურად კი გაწეულია 4051,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 89,6 პროცენტით.

მიმდინარე წლის ექვს თვეში სახელმწიფო ფონდებიდან შესასრულებელი იყო სულ 932,7 ათასი ლარის სამუშაოები, ფაქტიურად ექვს თვეში სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებით გამოყოფილი სახსრებიდან ათვისებული იქნა 746,6 ათასი ლარის სამუშაო, მ. შ. 65,9 ათასი ლარი არის მიზნობრივი ტრანსფერით გაწეული მომსახურეობა, ხოლო 680,7 ათასი ლარით გაწეულია ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსება, აქედან საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გაწეულია 619,0 ათასი ლარი და სოფლის მხარდამჭერი პროგრამით 61,7 ათასი ლარი;

თავის მხრივ რეგიონალური დაფინასებიდან საქ. მთ.2015 წლის 20.01. # 39 განკარგულებით 611,0 თასი ლარი, საიდანაც 26,5 ათასი ლარი დახარჯულია საპროექტო სამუშაოებზე და საქ. მთავრობის 2014 წლის # 34 განკარგულებით 8,0 ათასი ლარი

ხოლო სოფლის მხარდამჭერი პროგრამიდან საქ. მთ.2015 წლის 21 .03. # 506 განკარგულებით გაწეულია 45,9 ათასი ლარი და 2014 წლის 20.03 ნ 471 განკარგულებით დარჩენილი თანხებიდან 15,8 ათასი ლარი.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 998,2 ათასი ლარიდან გაწეულია 972,4 ათასი ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები 2015 წლის ექვს თვეში განსაზღვრული 290,8 ათასი ლარიდან გაწეულია 279,1 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96 პროცენტით. მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 707,4 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 693,3 ათასი ლარი, 98 პროცენტით;

2015 წლის ექვს თვეში მუნიციპალიტეტს სარეზერვო გამოყოფილი და ათვისებული იქნა 6,0 ათასი ლარი.

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯების დასაფინასებლად დაგეგმილი 200,1 ათასი ლარიდან დახარჯულია 197,4 ათასი ლარი, მ.შ.

სახანძრო–სამაშველო სამსახურის ხარჯები დაგეგმილი 153,0 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 152,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 99,7 პროცენტით. თავდაცვის ხარჯები 47,1 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 44,8 ათასი ლარით, ანუ 95,1 პროცენტით, ამასთან თავდაცვის ხარჯების დასაფინანსებლად გამოყენებულია მიზნობრივი ტრანსფერის გეგმიური ტანხა 13,0 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი 31,8 ათასი ლარი დაფინანსებულია მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2015 წლის ექვსი თვის შედეგების მიხედვით დაგეგმილი 1335,4 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1189,4 ათასი ლარით, 89,1 პროცენტით.

აქედან:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 650,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 569,5 ათასი ლარი, ე. ი. 87,5 პროცენტი, აღსანიშნავია რომ 529,9 ათასი ლარი მიმართულია სახ. ბიუჯეტის ფონდებიდან და 39,6 ათ. ლარი დახარჯულია საკუთარი სახსრებიდან.

მათ შორის გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა–შენახვის ხარჯები დაგეგმილი 639,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 559,5 ათასი ლარი, გზების რეაბილიტაცია ხორციელდებოდა საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20,01 .#39 განკარგულებით და საკუთარი სახსრებით. საქ. მთავრობის # 39 განკარგულებით შესრულდა კიცხი-ხიდარის გზის რეაბილიტაცია და დაიხარჯა 516,2 ათასი ლარი, ასევე მომზადდა ხარაგაული-ბაზალეთის, ბორითი- მარიამწყარო -ღორეშისა და კიცხი-ხიდარის გზის პროექტები, რაზედაც მთლიანობაში დაიხარჯა 5,7 ათასი ლარი.

ხიდებისა და ბოგირების შეკეთებაზე მიმდინარე წლის ექვს თვეში უნდა გაწეულიყო 11,1 ათასი ლარი, ფაქტიურად შესრულდა 10,0 ათასი ლარის სამუშაო მ. შ 8,0 ათ. ლარი გასული წლის 13.01 # 34 განკარგულებით და 2,0 საკუთარი სახსრების ხარჯზე.

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე გათვალისწინებული 397,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 380,0 ათასი ლარი, ე.ი. 95,5 პროცენტი, აქედან დასუფთავების ღონისძიებების სუბსიდირებაზე და მაწანწალა ძაღლების იზოლაციაზე დაგეგმილი 260,0 ათასი ლარიდან დახარჯულია 252,2 ათასი ლარი, გარე განათების სუბსიდირებაზე 91,6 ათასი ლარი;

საქ. მთავრობის 2015 წლის 20.01 N 39 განკარგულებით დაბაში მშენებარე საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად 30,8 ათასი ლარი და მიიმართა კანალიზაციის მოწყობაზე; წყლის სისტემის მოსაწესრიგებლად დაიხარჯა 5,4 ათასი ლარი, აქედან 5,3 ათასი ლარი მოხმარდა დაბაში მშენებარე საავადმყოფოსა და მისი მიმდებარე ქუჩების წყლის უზრუნველსაყოფად საჭირო პროექტების შედგენაზე , 0,1 ათასი ლარი დახარჯულია საკ. სახსრებით.

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად ექვს თვეში გამოყოფილი 160,1 ათასი ლარიდან 149,1 ათასი ლარი იქნა ათვისებული, აღნიშნულიდან 135,2 ათასი ლარი მოხმარდა პარკებისა და სკვერების სუბსიდირებას და 13,7 ათასი ლარი მიმართული იქნა საქ. მთავრობის 2015 წლის # 39 განკარგულებით შესასრულებელი საპროექტო სამუშაოების ასანაზღაურებლად. 0,2 ათასი ლარი დაიხარჯა პატარა ხარაგაულის სასაფლაოს შესაღობი სამუშაოების პროექტირებაზე.

4) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები 2015 წლის ექვს თვეში 114,9 ათასი ლარით განისაზღვრა, ფაქტიურად მოხერხდა 81,8 ათასი ლარის დახარჯვა, აქედან გასული წლის # 471 განკარგულებით გამოყოფილი თანხებიდან 15,8 ათასი ლარი და 2015 წლის პროექტების დაფინანასებიდან 45,9 ათასი ლარი, ამასთან სოფლის მხარდამჭერი პროგრამების შესასრულებლად საკუთარი სახსრებით, თანადაფინანსებით უკვე დაიხარჯა 20,1 ათასი ლარი.

5) სოფლის მეურნეობის დაფინანსების პროგრამაზე, კერძოდ მევენახეობის სანერგე მეურნეობის დაფინანსებაზე ექვს თვეში დაიხარჯა 9,0 ათასი.

განათლებაზე 2015 წლის ექვს თვეში გათვალისწინებული 651,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 562,9 ათასი ლარი და დაფინანსებულია 86,4 პროცენტით, მ.შ. სკოლამდელი განათლების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 502,6 ათასი ლარიდან დახარჯულია 456,7 ათასი ლარი, სკოლა–ინტერნატის სუბსიდირებაზე 87,0 ათასი ლარიდან – 48,3 ათასი ლარი, მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 62,0 ათასი ლარიდან 57,9 ათასი ლარი. განათლების დაფინანსების შედარებით დაბალი პროცენტი გამოწვეულია სკოლა-ინტერნატის მიერ გასაწევი ხარჯების აუთვისებლობით, კერძოდ მათ მიერ გამოცხადებული სატენდერო სამუშაოების სპეციფიკურობით.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილი 925,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 761,0 ათასი ლარი და დაფინანსებულია 82,2 პროცენტი, აქედან სპორტის განვითარებაზე 288,9 ათასი ლარიდან დახარჯულია 273,2 ათასი ლარი, საიდანაც სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 1,9 ათასი ლარი, სპორტული სკოლის სუბსიდირებაზე 118,8 ათასი ლარი, ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 62,3 ათასი ლარი და საფეხბურთო კლუბ ,,ჩხერიმელა –2009“ –ის სუბსიდირებაზე 90,2 ათასი ლარი;

კულტურის განვითარებაზე დაგეგმილი 547,8 ათასი ლარიდან დახარჯულია 464,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 84,8 პროცენტით, აქედან: კულტურის ობიქტების სუბსიდირებაზე 425,2 ათასი ლარი. მათ შორის:

სამუსიკო სკოლის სუბსიდირებაზე დაიხარჯა 53,8 ათასი ლარი, ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 40,5 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 146,5 ათასი ლარი, ცენტრალური ბიბლიოთეკის სუბსიდირებაზე 104,7 ათასი ლარი, ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 50,5 ათასი ლარი, საგამომცემლო და საინფორმაციო მომსახურების სუბსიდირებაზე 20,2 ათასი ლარი;

ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 1,4 ათასი ლარი და საქ. მთ. 2015 წლის 20.01 N 39 განკარგულებით ცენტრალური ბიბლიოთეკის რეაბილიტაციაზე 39,3 ათასი ლარი.

რელიგიის დაფინანსებაზე 2015 წლის ექვს თვეში ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოხერხდა გეგმიური დაფინანსების განხორციელება.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე ექვს დაგეგმილი 411,1 ათასი ლარიდან ათვისებულია 368,4 ათასი ლარი, აქედან საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 52,9 ათასი ლარი, და სოციალურ პროგრამებზე დაგეგმილი 350,6 ათასი ლარიდან 315,5 ათასი ლარი, მ. შ. უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 52,5 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 223,6 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 15,0 ათასი ლარი და სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად დაგეგმილი 55,2 ათასი ლარიდან 23,4 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2015 წლის ექვს თვეში მოხდა 4051,5 ათასი ლარის გადასხდელების დაფინანსება, საიდანაც 740,3 ათასი ლარი მიმართული იქნა კაპიტალური ხარჯების დაფინანებაზე, 18,7 %; მ. შ. არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეულია 732,2 ათასი ლარი, და 8,0 ათასი ლარი მოხმარდა ვალდებულებების კლებას (სოფ. მაქათუბნის ხიდზე წინა წლის დარჩენილი დავალიანება, რომელიც ჩაირიცხა მიმდინარე წელს)

ხოლო დარჩენილი 3311,3 ათასი ლარის ხარჯიდან:

- შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 719,1 ათასი ლარი, 21,7 %;
- საქონელი და მოსახურებაზე 340,9 ათასი ლარი, მათ შორის: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 52,2 ათასი ლარი, 1,6 %; მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე 5,7 ათასი ლარი, 0,2 %; საოფისე ხარჯების გაწევაზე 87,6 ათასი ლარი, 2,6 %; წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 2,1 ათასი ლარი, 0,1%; სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 59,9 ათასი ლარი, 1,8 %; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 133,4 ათასი ლარი, 4,0 %;
- სუბსიდირებაზე 1813,5 ათასი ლარი, 54,8 %;
- გრანტებზე 152,6 ათასი ლარი, 4,6%;
- სოციალურ უზრუნველყოფაზე 268,9 ათასი ლარი, 8,1 %;
- სხვა ხარჯების დაფინანსებაზე 16,3 ათასი ლარი, 0,5 %.

საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ვლ. გელაშვილი

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ 2015 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის, „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ„, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 08 ოქტომბრის N784 ბრძანებულების, „სახელმწიფო ქონების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დადგინდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი (დანართი #1).

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 29 ოქტომბრის N28 დადგენილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ„(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე , ვებგვერდი, 04/11/2013)

მუხლი3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავჯდომარე ინგა მაღრაძე.

დანართი N1

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულ;ების მიწის ნორმატიული ფასი.

მუხლი1. დადგინდეს მიწის ნორმატიული ფასი.

1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის-დაბა ხარაგაულის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში მყოფი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვ.მ მიწის ნორმატიული ფასი (შერმდგომში მიწის ნორამტიული ფასი) დგინდება შესაბამის ტერიტორიაზე მიწის საბაზრო ფასის გათვალიწინებით და გამოიანგარიშება ფორმულის მიხედვით.

CN = IMG X ITL X C X K

სადაც

ა) C N არის ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი;

ბ)I M G არის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მაკრომდებარეობის ინდექსი და უდრის 0, 37;

გ) I T L - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი და უდრის 1;

დ) C - არის საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის 1კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა 0.24 ლარის ტოლია;

ე) K - არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 80 -ს

LMGG	ITL	C	K	CN (lari)
0,37	1	0,24	80	7,10

2. პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით ხარაგაულის ადმინისტრაციული ცენტრისათვის დაბა ხარაგაულისათვის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

3.მუნიციპალიტეტის სოფლებისათვის გარდა მე-5 პუნქტში აღნიშნული გამონაკლისებისა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს დაბა ხარაგაულისათვის დადგენილი ფასის 40% და იგი განისაზღვროს 2,84 ლარით.

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გარდა მე-5 პუნქტში აღნიშნული გამონაკლისებისა მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს დაბა ხარაგაულისათვის დადგენილი ფასის 25% და იგი შეადგენს 1,78 ლარს.

5.ხარაგაულის მუნიცპალიტეტის სოფლებში და დასახლებათა შორის არეალებში გამავალ „საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 27 მაისის N287 ბრძანებულებით განსაზღვრულ:

ა) ს-1 ინდექსის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის 50 მეტრ რადიუსში (თითეულ მხარეს) მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს დაბა ხარაგაულისათვის დაგენილი მიწის ნორმატიული ფასის 100% და იგი შეადგენს 7,10 ლარს.

ბ) შ-55 ,შ-56, შ-101 ინდექსის შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულმხარეს) მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს დაბა ხარაგაულისათვის დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50% და იგი შეადგენს 3,55 ლარს.

ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐ # 3 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ 2015 ᲬᲔᲚᲘ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სახანძრო-სამაშველო სამსახურის ლიკვიდაციის შემდგომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის დროებით სარგებლობაში გადაცემული უძრავ- მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 108-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა :

მუხლი1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სახანძრო-სამაშველო სამსახურის ლიკვიდაციის შემდგომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსათვის დროებით სარგებლობაში გადაცემული უძრავ- მოძრავი ქონება (დანართი # 1 და #2)მდებარე დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩაზე(მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N36.01.32.002) და მოძრავი ქონება გადაეცეს, სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე
ინგა მაღრაძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲖᲔ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲡᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი„-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 107 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. დადგინდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის წესი დანართის N1 შესაბამისად .

მუხლი 2 . დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝ (ᲐᲠᲐᲙᲝᲛᲔᲠᲪᲘᲣᲚᲘ) ᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲔᲗᲔᲠ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ,,ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲛᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122–ე მუხლის მე-6 პუნქტისა და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“

ქვეპუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1.მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს გადაცეს

უსასყიდლო უზურფრუქტის წესით, არსებობის ვადით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს ეთერ კიკნაძის სახელობის ,,სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას„სოფლის საბავშვო ბაღების ქონება:

ბორითის საბავშო ბაღი (ს/კ 36.03.40.039),ნარჩენი საბალანსო ღირებულება 166148 ლარი.

კიცხის საბავშო ბაღი (ს/კ 36.10.35.013),ნარჩენი საბალანსო ღირებულება 111193 ლარი.

წყალაფორეთის საბავშო ბაღი (ს/კ 36.12.36.427), ნარჩენი საბალანსო ღირებულება106041ლარი.

ვარძიის საბავშო ბაღი (ს/კ 36.11.33.306), ნარჩენი საბალანსო ღირეულება 104203 ლარი.

ხიდრის საბავშო ბაღი (ს/კ 36.13.34.019), ნარჩენი საბალანსო ღირებულება 106145 ლარი.

ზვარის საბავშო ბაღი (ს/კ36.18.32.007), ნარჩენი საბალანსო ღირებულება 24689 ლარი.

ვახანის საბავშო ბაღი (ს/კ 36.16.33.371), ნარჩენი საბალანსო ღირებულება 106786 ლარი.

ლეღვნის საბავშო ბაღი (ს/კ 36.15.36.432),ნარჩენი საბალანსო ღირებულება 115745 ლარი.

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 –ე მუხლით დადგენილი წესით.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ბიუჯეტის მეორე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლის შესრულების შესახებ იმსჯელეს

▶1 ᲒᲐ.

პირველი კვარტლის ანგარიშს ახლდა, მეორე კვარტალში აღმოფხვრილია.“

„ადგილობრივმა ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ არსებული რესურსი დავხარჯოთ გონივრულად. მესმის, რომ პრობლემები ბევრია. ყველაფერს ერთდროულად ვერ მოვაგვარებთ. ყოველივე ამას, ვფიქრობ, გაგებით უნდა მოვეკიდოთ“ – განმარტა საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, ვლადიმერ გელაშვილმა.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2015 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულება დადებითად შეაფასა.

სხდომაზე ასევე იმსჯელეს, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიის წევრმა, ვარლამ (ტატო) თავზარაშვილმა, საკითხი დააყენა, რომ „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფლებისთვის უნდა მოხდეს შეღავათი და არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი - 1კვ/მ დაბა ხარაგაულისთვის, ნაცვლად 40%-ისა უნდა დადგინდეს 30%.“

აღნიშნულ პოზიციას კომისიის უმრავლესობამ მხარი დაუჭირა.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე განხილული საკითხების დასკვნას, კომისიის თავმჯდომარე, ვარლამ ჭიპაშვილი, საკრებულოს 3 აგვისტოს სხდომაზე დეპუტატებს ვრცლად მოახსენებს.

თამარ მაღრაძე

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2015 წლის ექვს თვეში გაცემული დახმარებები

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსმა ნანა კიკნაძემ სოციალურად დაუცველი და მძიმე ეკონომიური პირობების მქონე მოქალაქეებზე მატერიალური დახმარების გაწევის მიზნით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ 6 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია მოგვაწოდა.

ხარაგაულის ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს, 6 თვის განმავლობაში შემდეგი დახმარებები გაიცა:

მედიკამენტების შესაძენად დახმარება გაეწია 572 მოქალაქეს, თანხით - 61 249 ლარი;

სამედიცინო მომსახურებისთვის დაფინანსდა 196 ბენეფიციარი. დაფინანსების საერთო თანხამ 85 672 ლარი შეადგინა.

ბავშვის შეძენასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის გამგეობა 71 ოჯახს დაეხმარა. სულ ჩაირიცხა 15 000 ლარი.

სარიტუალო ხარჯებისთვის დახმარება გაეწია სოციალურად დაუცველ 94 ბენეფიციარს . ამ დროისთვის ჯამში ამ თანხამ 18 800 ლარი შეადგინა.

ომის ვეტერანის და დევნილის დაკრძალვისთვის 4 მოქალაქეს ჩაერიცხა 1000 ლარი. დიალიზზე მყოფ და ლეიკემიით დაავადებულთა დასახმარებლად კი 6 400 ლარი გამოიყო ბიუჯეტიდან. ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 95 მოქალაქეს , რომლის საერთო თანხამ 27 200 ლარი შეადგინა.

ალილოს დღესასწაულთან დაკავშირებით 50 (სოციალურად დაუცველ და უკიდურესად გაჭირვებულ) ოჯახზე საკვები პროდუქტებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 995 ლარიგამოიყო. ხოლო ძველით საახალწლოდ 58 ოჯახისთვის უსინათლოებისთვის, დევნილებისთვის და შ.შ.მ. ბავშვებისთვის გამგეობამ 2 900 ლარი დახარჯა.

1989 წლის 9 აპრილს დაზარალებული 2 მოქალაქეს 300-300 ლარი ჩაერიცხათ. ფაშიზმზე გამარჯვების 70 წლისთავთან დაკავშირებით კი სამამულო ომის 21 ვეტერანსერთჯერადი დახმარების სახით 200-200 ლარი ჩაერიცხათ, რომლის საერთო თანხა ჯამში 4200 ლარია.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან (1 ივნისი) დაკავშირებით შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე 62 ბავშვს, თითოეულს 50 ლ ჩააერიცხათ(სულ-3100 ლარი

დედის (3 მარტი) დღესთან დაკავშირებით დახმარება გაეწია 77 მრავალშვილიან ოჯახს, რომელთაც 4 და მეტი შვილი ჰყავთ. ჯამში 3 850 ლარი.ხოლო ქალთა (8 მარტი) დღესთან დაკავშირებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან 90 წელს გადაცილებულ 51 უხუცეს ქალბატონს 50-50 ლარი ჩაერიცხათ.

აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით 165 (დევნილ, უკიდურესად გაჭირვებულ და მარტოხელა) ოჯახს (თითოეულს 50 ლარი) გადაეცა, საერთო თანხით - 8250 ლარი;

ფულადი დახმარება გადაეცათ ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულ 3 ოჯახს. ისინი არ არიან ჩართულნი სახელმწიფო პროგრამაში. თითოეულს ჩაერიცხა 200 ლარი.

მიდმინარე წელსაც, ისევე როგორც ყოველ წელს მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაფარა ომის ვეტერანების ყოველთვიური კომუნალური გადასახადები. თანხამ საერთო ჯამში 3 650 ლარი შეადგინა.

ზესტაფონის უსინათლოთა კავშირის წევრ მოქალაქეებზე ყოველთვიურმა დახმარებამ კომუნალური გადასახადებისათვის 7 750 ლარი შეადგინა.

აუტიზმის და დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეებთან დაკავშირებით 6 მოქალაქეს გადაეცა ჯამში 1200 ლარი, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე 21 მოქალაქეს - 23 400ლ.

„ᲙᲠᲝᲜᲘᲙᲘᲡ ᲙᲠᲝ ᲬᲘᲜᲐᲣᲯᲘ...“

(ანუ ცოტა რამ ქართულ-ევროპული ურთიერთობის ისტორიიდან)

მიმდინარე სასწავლო წლის დასასრულს ხარაგაულის მე-3 საჯარო სკოლის ადმინისტრაციისა (დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ქალბატონი ნანა კვინიკაძე) და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ხარაგაულის რაიონული ორგანიზაციის (თავმჯდომარე ქალბატონი ლალი სებისკვერაძე) გულისხმიერებით მე-3 საჯარო სკოლის პედაგოგები საქართველოს ულამაზეს კუთხეს, სამეგრელოს, ეწვივნენ.

ვინ არ მოხიბლულა დადიანების ზუგდიდის სასახლის უმდიდრესი ექსპონატებით. პირველად მისი ხილვის ბედნიერება სტუდენტობის წლებში მქონდა, როცა სტუმრად ერთ-ერთ ახლობელთან ვიმყოფებოდი სოფელ ჭკადუაშში. ჩემი მასპინძელი ძალზე განათლებული და საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ცოდნით გამორჩეული პიროვნება იყო. ერთ დღეს, სოფლის ულამაზესი სანახებით ტკბობისას, მასპინძელმა სოფლის სასაფლაოზე ეკლესიის გვერდით მდებარე ერთ-ერთ საფლავთან შემაჩერა და მითხრა: - აქ განისვენებს უცხო მიწაზე, უცხო გარემოში აღზრდილი კაცი, რომელმაც საოცარი ძალით შეიგრძნო ქართული მიწის მადლი. მისი უბრალოება, შრომისმოყვარეობა და ადამიანებთან ურთიერთობა მისაბაძი იყო. მან ჩვიდმეტი წელი დაჰყო ჩვენს ქვეყანაში და ამ პერიოდის ყოველი დღე სამეგრელოში მეურნეობის წინსვლაყვავებას მოახმარა.

საფლავის ქვაზე წარწერა ამოვიკითხე: აშილ შარლ ნაპოლეონ მიურატი (1847-1895).

***

ყოველთვის მქონდა სურვილი, რომ აშილ მიურატის ცხოვრებისთვის საგაზეთო ფურცლებზე პატარა სტატია მიმეძღვნა. ამჯერად ეს ინტერესი გამიძლიერა ზუგდიდის მუზეუმის სამხედრო არქივში დაცული პრინც აშილ შარლ ნაპოლეონ მიურატის ხმალმა და ყველა იმ ექსპონატმა, რომლებიც დადიანების ურთიერთობას უკავშირდება მიურატებთან და ბონაპარტებთან.

დღეს ჩვენი პოლიტიკური ხედვა ევროპისკენაა მიმართული, აშილ მიურატის საქართველოსთან და ქართველებთან ურთიერთობა ერთ-ერთი თვალსაჩინო ფურცელია ამ სპექტრიდან.

***

1868 წლის 24 მაისს

პროსპერ მერიმე წერდა რუს მწერალს ივანე ტურგენევს: „... ვინ არის სამეგრელოს ეს თავადის ასული, რომელიც ახალგაზრდა მიურატს ცოლად გაჰყვა? იგი ხომ არაა ასული შამილის მიერ ერთ დროს ტყვედ წაყვანილი თავადის ქალისა, რომლის მიერ დაწერილი თავგადასავალი სადღაც წამიკითხავს?“

ეს ასული გახლდათ პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ულამაზესი ქალიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური მუზის, ეკატერინე ჭავჭავაძისა და სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის, დავით დადიანის, ქალიშვილი სალომე დადიანი, რომელიც ცოლად გაჰყვა საფრანგეთის დიდი იმპერატორის, ნაპოლეონ I-ის, შთამომავალ აშილ მიურატს. როგორც ცნობილია, ნაპოლეონ I-ის და, კაროლინა, იყო მეუღლე ნეაპოლის მეფე იოაჰიმ მიურატისა. აშილ მიურატი კი იყო კაროლინასა და იოაჰიმ მიურატის შვილიშვილი.

აშილ მიურატი ამერიკაში, ნიუ-ჯერსის შტატში, დაიბადა. მან ბრწყინვალე აღზრდა და სამხედრო განათლება მიიღო.

***

1868 წლის 18 მაისი. პარიზში, ტიუილრის ეკლესიაში, შედგა სალომე დადიანისა და აშილ მიურატის ჯვრისწერა. რუსეთის მონარქმა მათ 20 ათასი ფრანკი უძღვნა, ხოლო იმპერატორმა ნაპოლეონ III-მ თავის ძმისწულს ერთი მილიონი დაუნიშნა და მონსოს ბაღის ახლომდებარე პერეირასის მშვენიერი სასახლე უყიდა.

მათ სამი შვილი შეეძინათ: ლუსიენ შარლ დავითი, ნაპოლეონ ლუი აშილი და ანტუანეტა (ბებე) კატერინა.

დიდი სამხედრო ბატალიების შემდეგ მიურატი ჩამოშორდა პოლიტიკას და სამეგრელოში, მეუღლის მამულში, დასახლდა. მან გულმოდგინებით მიჰყო ხელი სოფლის მეურნეობას. საფრანგეთიდან გამოიწერა სხვადასხვა ჯიშის ვაზი. ხელახლა მოაშენა თითქმის სრულიად გამქრალი „ოჯალეში“. მიურატი გლეხებთან ერთად თოხნიდა, ბარავდა, მოსავალს იღებდა, ნადირობდა და ყოველნაირად ცდილობდა ღარიბი ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას. მან დააარსა სკოლა, აფთიაქი, ჰქონდა ფართო გეგმები, თუმც ბედისწერამ ადრეულ ასაკში შეწყვიტა მისი ცხოვრება. 1895 წლის მაისში მთელ საქართველოს მოედო აშილ მიურატის თვითმკვლელობის ამბავი. მიურატის სიკვდილის ორი ვერსია არსებობს: ერთი - იგი ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა, და მეორე - ხალხში ხმა გავრცელდა, თითქოს სალომემ ბანკში დააზღვია ზუგდიდის წაბლის ხის ოცდაოთხოთახიანი სასახლე, ავეჯი წინასწარ გამოიტანა და სასახლეს ცეცხლი წაუკიდა. ეს ცნობა იმჟამინდელ პრესაშიც გავრცელდა. თავმოყვარე პრინცმა ვერ აიტანა ღრსების ასეთი შელახვა და სამშობლოდან შორს, ჭკადუაშში, დაასრულა სიცოცხლე. არც სალომეს არგუნა განგებამ, რომ საკუთარ მიწაზე მოეპოვებინა სამუდამო სავანე. მეუღლის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ სალომემ დატოვა საქართველო, პარიზში გადასახლდა და 1913 წლის ივლისში სალომე დადიანის სხეული საფრანგეთის მიწას შეუერთდა...

***

ნანა კვინიკაძე - ექსკურსიის ხელმძღვანელი, მე-3 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: ექსკურსიით მიღებული სასიამოვნო განცდები დიდხანს გაგვყვება. ზუგდიდის სასახლესთან ერთად ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დადიანების სამკვიდრომ სოფელ სალხინოში და ბუნების ნამდვილ საოცრებას შევუერთდით მდინარე აბაშის კანიონთან (მარტვილის რაიონი). როგორც ცნობილია, კანიონი ესპანური სიტყვაა და ქართულად ვიწრო, ღრმა ხეობას ნიშნავს.

აბაშა, მდინარე ტეხურის მარცხენა შენაკადია, რომელიც სოფელ გაჭედილთან (მეგრულად „ᲒᲝᲭᲙᲐᲓᲘᲠᲘ„) აჩენს 50-70 მეტრი სიღრმის ვიწრო (სიგანე 5-6 მეტრი) კანიონს. ძნელია, სიტყვებით აღწერო ბუნების ეს ნამდვილი საოცრება. ექსკურსიის არც ერთ მონაწილეს არ დაავიწყდება ის სიამოვნება, რაც ამ ზღაპრულ ხეობაში ნავებით გასეირნებისას განვიცადეთ. დიდი სურვილი მაქვს, რომ მომავალი ექსკურსიით ჩვენი სკოლის უფროსკლასელები შევახვედროთ ბუნების ამ უმშვენიერეს სურათს, რათა ერთხელ კიდევ დარწმუნდნენ, თუ ბუნების რა საოცრებებს გვთავაზობს ღვთისმშობლის წილხვედრი ქართული მიწა.

ევა სმირნოვა - მესამე საჯარო სკოლის დარაჯი: დიდი მადლობა ჩვენი სკოლის ადმინისტრაციას, მის პედაგოგიურ კოლექტივს, რომელთა წყალობითაც მომეცა საშუალება, რომ მეხილა ზუგდიდის სასახლე, სალხინო, მარტვილის კანიონი და მასთან ერთად განმეცადა ის დიდი სითბო-სიყვარული, რასაც ამ სკოლის პედაგოგებთან სიახლოვე მანიჭებს.

P.S. ექსკურსიის თითოეული მონაწილე დიდ მადლობას უხდის მძღოლს, ბატონ დავით თაბუკაშვილს, თავისი მოვალეობის მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებისათვის.

მერი გიორგიძე

მილოცვა

18 მაისს მუზეუმის დღესთან დაკავშირებით სამუზეუმო საქმეში შეტანილი წვლილისა და ამ სფეროში ხანგრძლივი მოღვაწეობისათვის კულტურის მინისტრის ბრძანებით, სპეციალური სიგელითა და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოვდა ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის დირექტორის მოადგილე, ფონდის მთავარი მცველი, ქალბატონი ეკა შველიძე.

ქალბატონო ეკა! გილოცავთ თქვენი პროფესიონალიზმითა და საქმისადმი დიდი ინტერესით დამსახურებულად მოპოვებულ წარმატებას. თქვენ ხარაგაულის ისტორიული მუზეუმის მთელ კოლექტივთან ერთად შინაარსიანდ წარმართავთ ამ თვალსაჩინო კერის მუშაობას.

ძალზე შთამბეჭდავია თქვენგან განხორციელებული პროექტები: „ღვინის ფესტივალი“, „მოხალისე გიდები“, კვლევითი შინაარსის საინტერესო სტატიები.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ჩვეული შემართებით სვლას ჩვენი წარსულისა და მომავლის საკეთილდღეოდ.

მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ C ᲰᲔᲞᲐᲢᲘᲢᲘᲡ ᲣᲤᲐᲡᲝ ᲒᲐᲛᲝᲙᲕᲚᲔᲕᲔᲑᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

27 ივლისიდან C ჰეპატიტის უფასო გამოკვლევები იწყება. ჰეპატიტის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, დაგეგმილია C ჰეპატიტის უფასო გამოკვლევა და მკურნალობა. ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორის, შმაგი ხიჯაკაძის ინფორმაციით, ჰეპატიტის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით 2015 წლის 27 ივლისიდან, ათი სამუშაო დღის განმავლობაში, C ჰეპატიტის საყოველთაო გამოკვლევა და მკურნალობაა დაგეგმილი.

საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა ჩაიტაროს უფასო გამოკვლევა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიაში შემდეგ მისამართზე:

იმერეთი: ქ. ქუთაისი, ქუთაისის ზონალური ლაბორატორია , ოცხელის ქ. N2; ტელ.: 0431 220518; 0431 220539;

ვირუსული ჰეპატიტით, მსოფლიოში ასობით მილიონი ადამიანია დაავადებული. იგი ინფექციური დაავადებების ჯგუფია, რომელშიც A, B, C, D და E ჰეპატიტები შედის. ჰეპატიტი ღვიძლის მწვავე და ქრონიკულ დაავადებას იწვევს და ყოველწლიურად დაახლოებით 1.45 მილიონი ადამიანის სიკვდილის მიზეზი ხდება. B ჰეპატიტით ქრონიკულად 240 მილიონი ადამიანია ინფიცირებული. ყოველწლიურად, დაახლოებით 780 000 ადამიანი იღუპება, აქედან 650 000 ქრონიკული B ჰეპატიტის გართულებებით, ხოლო 130 000 მწვავე B ჰეპატიტით.

მსოფლიოში, სულ ქრონიკული C ჰეპატიტი 130-150 მილიონ ადამიანს აღენიშნება. ღვიძლის გართულებებით ყოველწლიურად 350 000-დან 500 000-მდე ადამიანი იღუპება.

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲓᲐᲜ 13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲓᲐᲖᲐᲠᲐᲚᲔᲑᲣᲚᲔᲑᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲜᲔᲜ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტიდან 13 ივნისის თბილისის სტიქიის შედეგად დაზარალებულებს კიდევ ერთხელ დაეხმარნენ. ამჟამად ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულების გაერთიანებამ რატი ენუქიძის მრავალშვილიან ოჯახს გაუწია დახმარება. აღსანიშნავია, რომ ეს სწორედ ის ოჯახია, რომელსაც ვაკე–საბურთალოს გამგებლის, ლაშა აბაშიძის შუამდგომლობით პატრიარქმა 200 კვადრატული მეტრი ფართის ბინა საჩუქრად გადასცა. ენუქიძეების ოჯახმა ბაღების გაერთიანებიდან საოჯახო ნივთები, ჭურჭელი და არამალფუჭებადი საკვები პროდუქტები მიიღო.

რატის მეუღლე, მაკა ჭანკვეტაძე, ხარაგაულის რაიონის სოფელ წყალაფორეთიდანაა, ხოლო მაკას დედა, ნათელა რობაქიძე, წყალაფორეთის ბაღის მზარეულია. ქალბატონ მაკას ჰყავს სამი შვილი და აგრეთვე ზრდის ორ მულიშვილს. ოჯახი ძალიან კმაყოფილია. მათ აღნიშნეს, რომ არ ჰქონდათ ჭურჭელი და ყველაზე მეტად სწორედ მისი მიტანა გაეხარდათ.

სტიქიით დაზარალებულთათვის ფულადი დახმარება გაიღო, ასევე მოლითის ადმინისტრაციული ერთეულის მაცხოვრებლებმა (გამგებლის წარმომადგენელი სპარტაკ ლაცაბიძე). სტიქიით დაზარალებულთა საბანკო ანგარიშზე მათ 160 ლარი ჩარიცხეს.

თამარ მაღრაძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲨᲘ ᲙᲘᲙᲜᲐᲫᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲝᲠᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲑᲘᲜᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲮᲣᲠᲔᲑᲐ

ხარაგაულში კიკნაძის ქუჩაზე მდებარე ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გადაიხურება. ანალოგიური სამუშაოები განხორციელდება სოფელ წიფის და სოფელ მოლითის მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებშიც. აღნიშნული სამუშოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე ტენდერი მუნიციპალიტეტის გამგეობამ 26 ივნისს გამოაცხადა. გამარჯვებული კომპანია უკვე გამოვლენილია. შპს „პროექტმშენ+“ -თან ხელშეკრულება მუნიციპალიტეტის გამგებელმა, კობა ლურსმანაშვილმა, 13 ივლისს გააფორმა. ოთხი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა სავარაუდოდ 50 000 ლარი დაჯდება. პროექტები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲘᲥᲔᲓᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲒᲝᲠᲔᲗᲨᲘ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲛᲝᲒᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ

საქარიქედისა და იგორეთის მოსახლეობას სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემები კარგა ხანია, აწუხებთ. მიუხედავად იმისა, რომ ,,სოფლის მხარდამჭერი პროგრამის“ ფარგლებში ახალი წყალგაყვანილობის სიტემა გაკეთდა, პრობლემა მაინც ვერ გადაიჭრა. მიზეზი წყლის დებეტის სიმცირე გახლდათ. სოფელში კი მოსახლეობის უმთავრესი სატკივარი სასმელი წყლის არქონა იყო. ხარაგაულის ადგილობრივი ხელისუფლება აქტიურად მუშაობდა საქარიქედსა და იგორეთში წყლის მარაგის მოძიებაზე. რამდენიმე ხნის წინ მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვითარების გაცნობის მიზნით, მოსახლეობას პირადად შეხვდა. კობა ლურსმანაშვილი ადგილობრივებს პრობლემის გადაჭრაში დახმარებას დაჰპირდა. დანაპირები დანაპირებად არ დარჩენილა. შედეგი უკვე სახეზეა. 17 ივლისს საქარიქედში ჭაბურღილით გაითხარა წყლის ავზების მიმდებარე ტერიტორია. წყლის პირველი მარაგი 19 მეტრზე აღმოჩნდა, ხოლო ოცდაათი მეტრის სიღრმეზე წყლის უხვმა მარაგმა სპეციალისტებიც კი გააოცა. სოფელში წყლის სისტემის მოწყობის სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება და მოსახლეობას სასმელ წყალთან დაკავშირებული პრობლემები აღარ ექნება. ჭაბურღილის მუშაობის შედეგად წყლის მარაგი აღმოჩნდა ასევე სოფელ ბორშიც. ნიქაბაძეების უბანში მეწყერის შედეგად წყალი წლების წინ დაიკარგა. მათ ორი კილომეტრის მანძილიდან 200 ლიტრიანი ავზებით უწევთ წყლის მოტანა. ელექტრო ტუმბო უახლოეს მომავალშო მოეწყობა. აღნიშნული სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

ეკა შავიძე

ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲔᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ

13, 14, 15 ივლისს ქალაქ ბათუმში ჩემპიონთა სახელობის საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. ტურნირი შავი ზღვის თასზე თავისუფალ ჭიდაობაში 1999-2001 და 2002-2003 წლებში დაბადებულთა შორის გაიმართა. ბათუმში თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს სხვადასხვა რაიონის ნაკრებ გუნდებთან ერთად ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრის (დირექტორი დავით გელაშვილი) ნორჩი მოჭიდავეებიც იმყოფებოდნენ. სპორტსმენებმა საკმაოდ კარგად იასპარეზეს და საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულებიც გახდნენ. ევსემი შველიძემ და ზურა ტოროშელიძემ მეორე ადგილები დაიკავეს, შოთა თაბაგარი მესამე ადგილზე გავიდა. აღნიშნული ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო, მასში 450 მოჭიდავე მონაწილეობდა და ხარაგაულელ მოჭიდავეთა წარმატება სასიხარულო და საამაყოა.

ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალური ცენტრი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა დამსახურებული მეღვინე

ᲭᲐᲙᲘ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ ᲪᲘᲪᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ა(ა)იპ ,,მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი"

მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: 22 10 25; ტირაჟი 1000 ცალი

ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ᲔᲙᲐ ᲨᲐᲕᲘᲫᲔ; ᲢᲔᲚ.: 595 51 98 12